სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030673465267619

13 / ივნისი / 2019 წ. **თბილისი #06-114/ო**

„თამბაქოს მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალისა და თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების თაობაზე ინფორმაციის ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 1 მაისის №01-20/ნ ბრძანების მე-2 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155^7 -ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 239-ე მუხლის 38-ე ნაწილის გათვალისწინებით, „თამბაქოს მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალისა და თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების თაობაზე ინფორმაციის ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 1 მაისის № 01-20/ნ ბრძანების მე-4 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულებისმე-3 მუხლის პირველი პუნქტის „$მ^2$„ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „$ვ^2$“; „$ვ^3$;“ „$ვ^4$;“ და მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის, საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:
ა) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების შევსების ინსტრუქცია“ (დანართი №1);
ბ) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ თანდართული ფორმა (დანართი №2);
გ) ცენტრის „სააღსრულებო ფურცლის“ თანდართული ფორმა (დანართი №3);
დ) თამბაქოს მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ შესავსები განცხადების ფორმა (დანართი №4).
2. ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში-ცენტრი) იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტის (იურისტის) მეშვეობით. გამონაკლისი შესაძლებელია განისაზღვროს ცენტრის გენერალური დირექტორის/ უფლებამოსილი პირის ბრძანებით.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით, მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის (2 დანართი) შენახვაზე პასუხისმგებელია ცენტრის იურიდიული სამმართველო. ოქმი შეინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილზე.
5. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან, ცენტრის:
ა) საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ო..ხამიჭეიშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (დანართი N2) ფორმების დადგენილი წესით ბეჭდვა - ტირაჟირებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება და,
ბ) ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფა.
6. ცენტრის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველომ (ნ. ქავთარაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

7. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თამბაქოს მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამოხათვალისა და თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების თაობაზე ინფორმაციის ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 1 მაისის № 01-20/ნ ბრძანების მე-2 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 15 მაისის #06-94/ო ბრძანება.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
9. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა იმნაძე